საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №576
2020 წლის 9 ივლისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №503 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით და ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადების, მისი მასობრივი გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებითა და პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით, აგრეთვე, 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისა და „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის საფუძველზე (მოქმედებდა 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით) დაწესდა რიგი შეზღუდვებისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №503 ბრძანებით გათვალისწინებული ჭიათურის, ხობისა და ხარაგაულის საზოგადოებრივი ცენტრების გახსნის თარიღების გონივრული ვადით გადაწევა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 25 ივლისის №85 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის №503 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 12.03.2020წ., სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016589) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. პირველი მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მე-5 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$რ^2$“ ქვეპუნქტი:

„$რ^2$) ქარელის იუსტიციის სახლი;“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. იუსტიციის სახლის საზოგადოებრივი ცენტრების ჩამონათვალი განისაზღვრება ამ დებულების დანართის შესაბამისად.“;“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. დებულების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.“.

2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართით განსაზღვრული ცხრილის მე-17, 71-ე, 73-ე და 76-ე გრაფებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 28 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართით განსაზღვრული ცხრილის:

ა) 76-ე გრაფა ამოქმედდეს 2020 წლის 5 ივნისიდან;

ბ) 73-ე გრაფა ამოქმედდეს 2020 წლის 12 ივნისიდან;

გ) 71-ე გრაფა ამოქმედდეს 2020 წლის 26 ივნისიდან;

დ) მე-17 გრაფა ამოქმედდეს 2020 წლის 10 ივლისიდან.

3. ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 3 სექტემბრიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**

დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის საზოგადოებრივი ცენტრები

1	აბაშის საზოგადოებრივი ცენტრი
2	ადიგენის საზოგადოებრივი ცენტრი
3	ამბროლაურის საზოგადოებრივი ცენტრი
4	არხილოსკალოს საზოგადოებრივი ცენტრი
5	აწყურის საზოგადოებრივი ცენტრი
6	ახალსოფელის საზოგადოებრივი ცენტრი
7	ბაკურიანის საზოგადოებრივი ცენტრი
8	ბარალეთის საზოგადოებრივი ცენტრი
9	ბერძენაულის საზოგადოებრივი ცენტრი
10	გეგუთის საზოგადოებრივი ცენტრი
11	გლდანის საზოგადოებრივი ცენტრი
12	გომის საზოგადოებრივი ცენტრი
13	დიდი ჯიხაიშის საზოგადოებრივი ცენტრი
14	დმანისის საზოგადოებრივი ცენტრი

15	დუშეთის საზოგადოებრივი ცენტრი
16	ვალეს საზოგადოებრივი ცენტრი
17	ვანის საზოგადოებრივი ცენტრი
18	ზედა საზანოს საზოგადოებრივი ცენტრი
19	ზეინდარის საზოგადოებრივი ცენტრი
20	თეთრიწყაროს საზოგადოებრივი ცენტრი
21	იორმუღანლოს საზოგადოებრივი ცენტრი
22	კაბალის საზოგადოებრივი ცენტრი
23	კაზრეთის საზოგადოებრივი ცენტრი
24	კაჩაგანის საზოგადოებრივი ცენტრი
25	კაჭრეთის საზოგადოებრივი ცენტრი
26	კიცხის საზოგადოებრივი ცენტრი
27	კოდის საზოგადოებრივი ცენტრი
28	კორბოულის საზოგადოებრივი ცენტრი
29	კოხნარის საზოგადოებრივი ცენტრი
30	კუმურდოს საზოგადოებრივი ცენტრი
31	ლანჩხუთის საზოგადოებრივი ცენტრი
32	ლაჯანას საზოგადოებრივი ცენტრი
33	ლენტეხის საზოგადოებრივი ცენტრი
34	ლესიჭინეს საზოგადოებრივი ცენტრი
35	მანგლისის საზოგადოებრივი ცენტრი
36	მარტყოფის საზოგადოებრივი ცენტრი
37	მეორე სვირის საზოგადოებრივი ცენტრი
38	მეჯვრისხევის საზოგადოებრივი ცენტრი
39	მუხაესტატეს საზოგადოებრივი ცენტრი
40	მუხრანის საზოგადოებრივი ცენტრი
41	ნიგოეთის საზოგადოებრივი ცენტრი
42	ნუკრიანის საზოგადოებრივი ცენტრი
43	ორსანტიას საზოგადოებრივი ცენტრი
44	რუისის საზოგადოებრივი ცენტრი
45	რუხის საზოგადოებრივი ცენტრი

46	სადახლოს საზოგადოებრივი ცენტრი
47	სანიორეს საზოგადოებრივი ცენტრი
48	სართიჭალის საზოგადოებრივი ცენტრი
49	საჩხერის საზოგადოებრივი ცენტრი
50	საწირეს საზოგადოებრივი ცენტრი
51	ტყვიავის საზოგადოებრივი ცენტრი
52	ტყიბულის საზოგადოებრივი ცენტრი
53	უდაბნოს საზოგადოებრივი ცენტრი
54	უსახელოს საზოგადოებრივი ცენტრი
55	ფასანაურის საზოგადოებრივი ცენტრი
56	ფოკის საზოგადოებრივი ცენტრი
57	ქედის საზოგადოებრივი ცენტრი
58	ქვემო ნატანების საზოგადოებრივი ცენტრი
59	ქობულეთის საზოგადოებრივი ცენტრი
60	ღორეშას საზოგადოებრივი ცენტრი
61	ყვარელწყალის საზოგადოებრივი ცენტრი
62	შაშიანის საზოგადოებრივი ცენტრი
63	შილდის საზოგადოებრივი ცენტრი
64	შორაპანის საზოგადოებრივი ცენტრი
65	შუახევის საზოგადოებრივი ცენტრი
66	ჩაქვის საზოგადოებრივი ცენტრი
67	ცაგერის საზოგადოებრივი ცენტრი
68	წალკის საზოგადოებრივი ცენტრი
69	წნორის საზოგადოებრივი ცენტრი
70	ჭალადიდის საზოგადოებრივი ცენტრი
71	ჭიათურის საზოგადოებრივი ცენტრი
72	ჭრებალოს საზოგადოებრივი ცენტრი
73	ხარაგაულის საზოგადოებრივი ცენტრი
74	ხევის საზოგადოებრივი ცენტრი
75	ხიდისთავის საზოგადოებრივი ცენტრი
76	ხობის საზოგადოებრივი ცენტრი

77	ხრეითის საზოგადოებრივი ცენტრი
78	ხულოს საზოგადოებრივი ცენტრი
79	ჯგალის საზოგადოებრივი ცენტრი
80	ჯვარის საზოგადოებრივი ცენტრი